




ავტორები: თორნიკე სურგულაძე, დავით კეჭელაძე

**საქართველოს სავაჭრო დეფიციტი და ქვეყანაში შემოდინებული ფულადი გზავნილები მცირდება, ინფლაციის მაჩვენებელი უცვლელია, ხოლო სამომხმარებლო კრედიტების რაოდენობა და ფულის მასა იზრდება**

**გრაფიკი 1 – საქართველო, მშპ-ის რეალური ზრდის ტემპი (წ.წ.)**



ISSET-ის კვლევითმა ინსტიტუტმა 2023 წლის მესამე და მეოთხე კვარტლების მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის პროგნოზი განაახლა. ქვემოთ მოცემულია ამ თვის განახლების ძირითადი მიგნებები.

**ძირითადი მიგნებები:**

- საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა (საქსტატი) 2023 წლის აგვისტოს მშპ-ის რეალური ზრდის წინასწარი შეფასება გამოაქვეყნა, რომელიც 5.8%-ს შეადგენს. 2023 წლის იანვარ-აგვისტოს მშპ-ის რეალური ზრდის წინასწარი შეფასება კი 7%-ს უტოლდება.
- ISSET-ის კვლევითი ინსტიტუტის შეფასებით, მშპ-ის რეალური ზრდის მაჩვენებელი 2023 წლის მესამე კვარტალში 9.6%-ს შეადგენდა, მეოთხე კვარტალში კი – 9.3%-ს.



- აგვისტოს მონაცემებზე დაყრდნობით, 2023 წელს წლიური ზრდის პროგნოზი 8.5%-ს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი, დიდი ალბათობით, **გადაჭარბებულადაა შეფასებული**. ეს იმითაა განპირობებული, რომ საქართველოს არსებულ მონაცემებში არ მოიძებნება რუსეთის მიერ უკრაინაში ომის დაწყების, რუსეთისთვის დაწესებული სანქციებისა და ფართომასშტაბიანი მიგრაციის ანალოგი.
- გარდა ამისა, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2023 წლის მშპ-ის რეალური ზრდის პროგნოზი მანამდე არსებული 5%-იდან 6%-მდე დააკორექტირა. მონეტარული პოლიტიკის ანგარიშის თანახმად, პროგნოზის დაკორექტირების მიზეზებია პროდუქტიულობის ფაქტორების და განხორციელებული ინვესტიციების ზრდა, აგრეთვე უცხოური ფულადი ნაკადის გაზრდილი შემოდინება, რაც ქვეყნის შიდა ხარჯვის სტიმულირებისკენ მიმართულ მიმდინარე გეოპოლიტიკურ მდგომარეობასთანაა დაკავშირებული.

**მშპ-ის ზრდის პროგნოზის განმარტობაელი ცვლადები:**

**დეპოზიტები ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში.** ცვლადების ერთ-ერთი ჯგუფი, რომელმაც ზომიერი გავლენა იქონია ჩვენს პროგნოზზე, კომერციულ ბანკებში ეროვნულ ვალუტაში არსებული დეპოზიტების მოცულობა იყო. ეროვნულ ვალუტაში არსებული ყველა კატეგორიის დეპოზიტის ღირებულება გაიზარდა წლიურ ჭრილში და მხოლოდ მიმდინარე დეპოზიტების ღირებულება შემცირდა წინა თვესთან შედარებით. ეროვნულ ვალუტაში არსებული მიმდინარე დეპოზიტები წლიური 44,9%-ით გაიზარდა, ხოლო ვადიანი დეპოზიტები – 34.5%-ით. **შესაბამისად, ეროვნულ ვალუტაში არსებული დეპოზიტები წლიური 38,6%-ით გაიზარდა.** *ეროვნულ ვალუტაში არსებულ დეპოზიტებთან დაკავშირებულ ცვლადებს პოზიტიური გავლენა ჰქონდა მშპ-ის რეალური ზრდის პროგნოზში.*

ეროვნულ ვალუტაში არსებული დეპოზიტებისგან განსხვავებით, **უცხოურ ვალუტაში არსებული დეპოზიტების ზრდის მაჩვენებელი, წინა წლის იმავე თვესთან შედარებით, 3.7%-ით შემცირდა.** ამავდროულად, უცხოურ ვალუტაში მიმდინარე ანგარიშები და ვადიანი დეპოზიტები 13.3%-ით (წლიური 0,5%-ით) შემცირდა, ხოლო უცხოურ ვალუტაში არსებული ვადიანი დეპოზიტები წლიური 2.3%-ით გაიზარდა. უცხოურ ვალუტაში არსებული დეპოზიტების წლიური ზრდის მაჩვენებლის ზრდა ეროვნული ვალუტის გამყარებით იყო განპირობებული. შედეგად, დეპოზიტების დოლარიზაცია, მათ შორის ფართო ფული, თვიურ ჭრილში 1.9 პროცენტული პუნქტით, ხოლო წლიურ ჭრილში 16.7 პროცენტული პუნქტით შემცირდა. ჩვენს მოდელზე დაყრდნობით, პოზიტიური წლიური ტენდენციების მიუხედავად, უცხოურ ვალუტაში არსებულ დეპოზიტებთან დაკავშირებულმა ცვლადებმა მცირე უარყოფითი წვლილი შეიტანა მშპ-ის ზრდის მაჩვენებელში.

**საქონლით ვაჭრობა.** აგვისტოში საქართველოს ექსპორტი წლიურად 4,8%-ით გაიზარდა, რაც, ძირითადად, ავტომობილების (58,3%-ით ზრდა) გაზრდილი ექსპორტითა და რეექსპორტით იყო განპირობებული. თუმცა შემცირდა სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების (50,1%-ით კლება), ფეროშენადნობის (78,7%-ით კლება), მინერალური და ქიმიური სასუქების (35,9%-ით კლება) და ნატურალური ყურძნის ღვინოების (24,7%-ით კლება) ექსპორტი და რეექსპორტი.



ამ პერიოდის განმავლობაში საქონლის იმპორტი **0.9%-ით** გაიზარდა, რაც უმეტესად *ავტომობილებისა* (30,1%-ით ზრდა) და *დაფასოებული მედიკამენტების* (35,5%-ით ზრდა) გაზრდილი ექსპორტითა და რეექსპორტით იყო განპირობებული. თუმცა შემცირდა *აირების და სხვა თხევადი ნახშირწყალბადის* (28,2%-ით შემცირება), *სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების* (962,1 %-ით შემცირება) და *საწვავისა და ნავთობპროდუქტების* (30,1 %-ით შემცირება) იმპორტის/რეიმპორტის წლიური მაჩვენებელი. შედეგად, საგარეო სავაჭრო დეფიციტი მხოლოდ წლიური **1.5%-ით** შემცირდა და **778,26 მლნ აშშ დოლარს** გაუტოლდა. *საერთო ჯამში, ვაჭრობასთან დაკავშირებულმა ცვლადებმა მცირედი უარყოფითი წვლილი შეიტანეს მშპ-ის ზრდის პროგნოზში.*

**ფულადი გზავნილები.** აგვისტოში ფულადი გზავნილები წლიური **14,1 პროცენტით** შემცირდა და **287 მლნ აშშ დოლარი** შეადგინა. აღნიშნული შემცირების მთავარი ხელშემწყობნი იყვნენ: რუსეთის ფედერაცია (45,6%-ით კლება, წლიური -15,1 პროცენტული პუნქტი), ყირგიზეთი (63,4%-ით კლება, წლიური -2.6 პროცენტული პუნქტი), აზერბაიჯანი (20,2%-ით კლება, წლიური -0.3 პროცენტული პუნქტი) და ისრაელი (6,7%-ით კლება, წლიური -0.4 პროცენტული პუნქტი). გაიზარდა ფულადი გზავნილები იტალიიდან (წლიური 23 %-ით ზრდა, 2,5 პროცენტული პუნქტი), *აშშ-დან* (წლიური 37,6 %-ით ზრდა, 3,3 პროცენტული პუნქტი), *გერმანიიდან* (წლიური 33,5 %-ით ზრდა, 1,5 პროცენტული პუნქტი), *საბერძნეთიდან* (წლიური 6%-ით ზრდა, 0,3 პროცენტული პუნქტი), *ყაზახეთიდან* (წლიური 54,9%-ით ზრდა, 2 პროცენტული პუნქტი), *ესპანეთიდან* (წლიური 11,6 %-ით ზრდა, 0,2 პროცენტული პუნქტი), *საფრანგეთიდან* (წლიური 21,4 %-ით ზრდა, 0,3 პროცენტული პუნქტი) და *დიდი ბრიტანეთიდან* (წლიური 15,4 %-ით ზრდა, 0,2 პროცენტული პუნქტი). ფულადი ნაკადის შემცირება შესაძლოა განპირობებული იყოს საბაზო ეფექტით. 2022 წელს, უკრაინაში რუსეთის მიერ ომის დაწყების შემდეგ, საქართველოში რუსეთის უამრავი მოქალაქე შემოვიდა, რომლებიც ახორციელებდნენ თანხების გადარიცხვას პირადი ხარჯებისთვის. შესაბამისად, ახლა ხდება ფულადი გზავნილების შემოდინების სტანდარტულ მოდელზე დაბრუნება იმდენად, რამდენადაც მცირდება რუსეთის მოქალაქეების შემოდინებით გამოწვეული ზეგავლენა. მეტი სიცხადისთვის, აღსანიშნავია, რომ 2023 წლის მესამე კვარტალში საგრძნობლად (40%-ით) გაიზარდა შემოდინებული ფულადი ნაკადი, 2021 წლის იმავე პერიოდთან შედარებით. *საერთო ჯამში, შემოდინებულმა ფულადმა გზავნილებმა მცირედი დადებითი წვლილი შეიტანეს მშპ-ის რეალური ზრდის პროგნოზში.*

**გაცვლითი კურსი.** აგვისტოში ქართული ლარი გამყარდა **აშშ დოლართან** (თვიურ ჭრილში 0,5%-ით, ხოლო წლიური 9,5%-ით), **ევროსთან** (თვიურ ჭრილში 1,5%-ით, ხოლო წლიური 2.7%-ით), **რუბლთან** (თვიურ ჭრილში 5,9%-ით, ხოლო წლიური 42.7%-ით) და **თურქულ ლირასთან** (წლიური 38,5%-ით) მიმართებით. მიუხედავად ამისა, ქართული ლარი მცირედით (თვიურ ჭრილში 0,2 %-ით) გაუფასურდა **თურქულ ლირასთან** მიმართებით. **რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (REER) თვიური მაჩვენებლით 0.4%-ით** შემცირდა და **წლიური გამოთვლებით 8,3%-ით** გაიზარდა. **REER-ის ზრდა უმეტესწილად დაკავშირებულია რუსეთის მოქალაქეების შემოდინებასთან.** ერთი მხრივ, ქართული ლარის ღირებულების ზრდა ხელსაყრელია საქართველოს მოსახლეობისთვის, რადგან ქვეყანა დიდწილად დამოკიდებულია იმპორტზე და აქვს სესხების დოლარიზაციის მაღალი დონე (ბიზნესები იღებენ შემოსავალს და იხდიან ვალდებულებებს სხვადასხვა ვალუტაში). თუმცა, ამავდროულად, ლარის გამყარებამ შესაძლოა გამოიწვიოს კონკურენტუნარიანობის შესუსტება



ექსპორტის დარგში, რაც უარყოფითად აისახება ეკონომიკის ზრდის ტემპზე საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში. *საერთო ჯამში, REER-თან დაკავშირებულმა ცვლადებმა უარყოფითი წვლილი შეიტანეს მშპ-ის რეალური ზრდის პროგნოზში.*

**ფულის მასა.** აგვისტოში მნიშვნელოვნად გაიზარდა ფულის მასის ყველა აგრეგატი წლიურ ჭრილში, მათ შორის ბანკებს მიღმა არსებული ნაღდი ფული (M0) და ფართო ფული (M3). ფულის მასის M2 და M3 აგრეგატებმა, შესაბამისად, 30,8%-იანი და 10,4%-იანი წლიური ზრდა განიცადა. მიმოქცევაში არსებულმა ვალუტამ და ბანკებს გარეთ არსებულმა ნაღდმა ფულმა (M0), შესაბამისად, წლიური 17,2%-ით და 19,6%-ით მოიმატა. *საერთო ჯამში, ჩვენს მოდელზე დაყრდნობით, ფულის მასასთან დაკავშირებულმა ცვლადებმა დიდი დადებითი წვლილი შეიტანა 2023 წლის მესამე კვარტალში მშპ-ის რეალურ ზრდაში.*

**სამომხმარებლო სესხი.** 2023 წლის აგვისტოში კომერციული ბანკების სამომხმარებლო სესხების მთლიანი მოცულობა თვიური 2,1%-ით და წლიური 20,8%-ით გაიზარდა. თუმცა კომერციულ ბანკებში მოკლევადიანი სამომხმარებლო სესხების მოცულობა თვიურ ჭრილში 5%-ით, ხოლო წლიურ ჭრილში 14 %-ით გაიზარდა (ამგვარი ტენდენციის განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორი უცხოურ და ეროვნულ ვალუტაში მოკლევადიანი სამომხმარებლო სესხების თვიურ ჭრილში 13,1 %-ით, ხოლო წლიურ ჭრილში 18,6%-ით გაზრდაა). აღსანიშნავია ისიც, რომ კომერციულ ბანკებში გრძელვადიანი სამომხმარებლო სესხების მოცულობა თვიურ ჭრილში 2%-ით, ხოლო წლიურ ჭრილში 20,9%-ით გაიზარდა. საერთო ჯამში, სამომხმარებლო სესხებთან დაკავშირებულ ცვლადებს დადებითი გავლენა ჰქონდა მშპ-ის რეალური ზრდის პროგნოზში.

**ინფლაცია.** აგვისტოში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაცია **0,7%-ს** გაუტოლდა, რაც მიზნობრივ **3%-ს** მნიშვნელოვნად ჩამორჩება. სამომხმარებლო ფასების ინდექსის (CPI) ინფლაცია დიდწილად განაპირობა ისეთმა გარე ფაქტორებმა, როგორცაა საერთაშორისო სასაქონლო და საწვავის ბაზრებზე ფასების შემცირება. **აღნიშნული ტენდენცია, უმეტესწილად, მსოფლიო ბაზარზე შემცირებული საწვავის ფასების შედეგია (ევრო ბრენტის ფასი (COP) წლიური 14,2%-ით შემცირდა).** ყოველივე ეს, ლარის გამყარებასთან ერთად, ხელს უწყობს იმპორტული საქონლის ფასის შემცირებას. აღსანიშნავია ისიც, რომ მცირდება ადგილობრივი წარმოების საქონლის ინფლაციაც. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად დადებითი ტენდენციებისა, არსებული გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, მაღალია საქონლის საერთაშორისო ბაზარზე ინფლაციის ზრდის რისკი. თუ ეს რისკი გამართლდა, გაიზრდება იმპორტირებული საქონლის ფასებიც. *საერთო ჯამში, CPI-თან დაკავშირებულმა ცვლადებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მშპ-ის პროგნოზში.*

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის პროგნოზირების მოდელი ახალი ეკონომიკის სკოლის მიერ შემუშავებული წამყვანი ეკონომიკური ინდიკატორების (LEI) მეთოდოლოგიის მიხედვით შეიქმნა. ჩვენ მიერ შემუშავებული მოდელი ეფუძნება დაშვებას, რომ არსებული მონაცემებიდან შესაძლებელია იმ ფაქტორების გამოკვეთა, რომლებიც ყველა მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცვლადს (მათ შორის მშპ-საც) ასახავს, თან მშპ-ის ზრდის ოფიციალური მონაცემების გამოქვეყნებამდე მნიშვნელოვნად ადრე. ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი თითოეული კვარტლისთვის ხუთ ყოველთვიურ პროგნოზს (ან 'vintage') აქვეყნებს, რომელთა სიზუსტე დროსთან ერთად იზრდება. პირველი პროგნოზი (1-ელი 'vintage'), როგორც წესი, ხელმისაწვდომია საანგარიშო კვარტლს